საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

**საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო**

გადაწყვეტილება N 892018899538-07 (05.12.2018)

## სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ

საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს წარედგინა განცხადება (No.892018899538; 17 ოქტ 2018; განმცხადებელი: ლევან დვალი, მისამართი: თბილისი ერეკლე II მოედ. N 3). განცხადებით მოთხოვნილია მიწის ნაკვეთის მიზნობრივი დანიშნულების ცვლილების რეგისტრაცია , მდებარე ქალაქი თბილისი , გარდაბანი , ბაგების სატყეო უბანი , (ნაკვეთი 011/030) (ზონა:თბილისი, სექტორი: ვაკე)

განცხადებაზე თანდართულია:

1. დაინტერესებული პირის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი
2. განცხადება

1. სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების ფაქტობრივი დასაბუთება
1.1. დაინტერესებული პირის მიერ მოთხოვნილია მიწის მიზნობრივი დანიშნულების ცვლილების რეგისტრაცია.
1.2. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის, საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 15 იანვრის 4 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო რეესტრის შესახებ ინსტრუქციის მე-18 მუხლის მე-4 პუნქტის, საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2004 წლის 19 ივლისის 835 ბრძანებით დამტკიცებული ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს დებულების მე-5 მუხლის მეორე პუნქტის ,,დ და ,,პ ქვეპუნქტების თანახმად, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 31 ივლისის N1235/ს ბრძანების საფუძველზე, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მიზნობრივი დანიშნულების ცვლილების მოთხოვნით სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში წარდგენილი განცხადების/ინდივიდუალური ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის განხილვის, მიწის მიზნობრივი დანიშნულების ცვლილების დასაბუთებულობის წინასწარი შეფასებისა და ამ საკითხთან დაკავშირებით დასკვნის შემუშავების მიზნით, შეიქმნა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მიზნობრივი დანიშნულების ცვლილების დასაბუთებულობის საკითხის შემსწავლელი კომისია.

1.3. დაინტერესებული პირის მიერ წარმოდგენილი, ასევე სააგენტოში განსახილველ მიწის ნაკვეთთან დაკავშირებით დაცული დოკუმენტაცია გადაეგზავნა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის მიერ შექმნილ კომისიას, მიწის მიზნობრივი დანიშნულების ცვლილების დასაბუთებულობის წინასწარი შეფასებისა და ამ საკითხთან დაკავშირებით დასკვნის შემუშავების მიზნით.

1.4. კომისია განცხადებებს/ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ სამართლებრივ აქტებს იხილავს მათი საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში რეგისტრაციის თარიღის მიხედვით, ქრონოლოგიური პრინციპის დაცვით, და დასკვნას ამტკიცებს 15 დღის ვადაში.

1.5. თუ კომისიის მიერ განცხადების/ინდივიდუალური ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის განხილვისას აღმოჩნდა, რომ აუცილებელია, მოპოვებულ იქნეს დამატებითი ინფორმაცია, კომისია შეაჩერებს საკითხის განხილვას, ხოლო სააგენტოს შესაბამისი სამსახური დაუყოვნებლივ მოითხოვს განმცხადებლისაგან მიწის მიზნობრივი დანიშნულების შესაცვლელად სარეგისტრაციო წარმოების კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით აუცილებელ ინფორმაციას, რომელიც კომისიას უნდა წარედგინოს მოთხოვნიდან 10 დღის ვადაში. ამ შემთხვევაში, კომისია მომდევნო სხდომაზე განაახლებს საკითხის განხილვას და უზრუნველყოფს დასკვნის დამტკიცებას.

1.6. იმ შემთხვევაში, თუ კომისია 1.5. პუნქტის საფუძველზე შეაჩერებს საკითხის განხილვას და კომისია მოითხოვს დამატებით ინფორმაციას, მარეგისტრირებელი ორგანო, განსახილველ სარეგისტრაციო განცხადებასთან დაკავშირებით მიიღებს სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ გადაწყვეტილებას და დაინტერესებულ პირს მიეცემა 10 დღიანი ვადა დამატებითი ინფორმაციის წარმოსადგენად. სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ გადაწყვეტილება გამოქვეყნდება სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების 10 დღიანი ვადა აითვლება სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ ახალი გადაწყვეტილების სააგენტოს ვებგვერდზე გამოქვეყნებიდან.
1.7. იმ შემთხვევაში, თუ სარეგისტრაციო წარმოება შეჩერდება 1.6. პუნქტში აღნიშნული წესით, კომისია მომდევნო სხდომაზე განაახლებს საკითხის განხილვას და უზრუნველყოფს დასკვნის დამტკიცებას, საქმეში არსებული დოკუმენტაციის/ინფორმაციის საფუძველზე.

1.8. კომისიის ნებისმიერი დასკვნა განსახილველად და გადაწყვეტილების მისაღებად წარედგინება სააგენტოს თავმჯდომარეს, რომელიც გადაწყვეტილებას იღებს დასკვნის წარდგენიდან 5 დღის ვადაში.

1.9. სააგენტოს თავმჯდომარის მიერ განცხადების/ინდივიდუალური ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის დასაბუთებულობის დადასტურების შემთხვევაში, იგი იღებს გადაწყვეტილებას მიწის მიზნობრივი დანიშნულების შეცვლის შესახებ, რის საფუძველზეც მარეგისტრირებელი ორგანო უზრუნველყოფს სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ან მისი ნაწილის

არასასოფლო სამეურნეო დანიშნულებით შეცვლის რეგისტრაციას, რეგისტრაციისათვის სხვა დამაბრკოლებელი გარემოებების არარსებობის შემთხვევაში.

1.10. განცხადების/ინდივიდუალური ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის დაუსაბუთებლობის შემთხვევაში, სააგენტოს თავმჯდომარე იღებს გადაწყვეტილებას მიზნობრივი დანიშნულების შეცვლაზე უარის შესახებ, რომელიც საჩივრდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

1.11. დაინტერესებული პირი უფლებამოსილია სააგენტოს წარუდგინოს ყველა დოკუმენტაცია/ინფორმაცია, რომელიც შეიძლება საფუძვლად დაედოს განმცხადებლის მიერ მოთხოვნილი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას.

1.12. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მიზნობრივი დანიშნულების ცვლილების დასაბუთებულობის საკითხის შემსწავლელი კომისიის 2018 წლის 4 დეკემბრის N45 ოქმის საფუძველზე კომისიამ შეაჩერა საკითხის განხილვა, ვინაიდან განცხადება არ არის საკამრისად დასაბუთებული.

2. სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების სამართლებრივი დასაბუთება

2.1. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება არა აქვს კანონმდებლობის მოთხოვნების საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება.
2.2. ამავე კოდექსის 96-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე.
2.3. ,,საჯარო რეესტრის შესახებ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, რეგისტრაცია წარმოებს როგორც უშუალოდ სარეგისტრაციო თუ სხვა დოკუმენტების, აგრეთვე ამ დოკუმენტაციის სათანადო წესით შექმნილი ელექტრონული ასლების საფუძველზე. ამავე კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, სარეგისტრაციო წარმოების დაწყების საფუძველია განცხადება ან უფლებამოსილი ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება.
2.4. ,,საჯარო რეესტრის შესახებ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა ქვეპუნქტის თანახმად, მიწის ნაკვეთის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით შეცვლა რეგისტრირდება უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრში. ხოლო ამავე მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, მიწის ნაკვეთის დანიშნულებისა და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის კატეგორიის შეცვლის რეგისტრაციის წესი და პირობები განისაზღვრება ინსტრუქციით.
2.5. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ტერიტორიული სარეგისტრაციო სამსახურების მიერ რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღების წესი, შესაბამისი წარმოების სამართლებრივი და პროცედურული საკითხები განსაზღვრულია ,,საჯარო რეესტრის შესახებ საქართველოს კანონითა და საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 15 იანვრის 4 ბრძანებით დამტკიცებული ,,საჯარო რეესტრის შესახებ ინსტრუქციით .
2.4. აღნიშნული ინსტრუქციის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სააგენტო იღებს გადაწყვეტილებას რეგისტრაციის (მოთხოვნის დაკმაყოფილების) შესახებ, თუ არ არსებობს რეგისტრაციაზე უარის თქმის, სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების ან შეწყვეტის საფუძვლები.
2.5. საჯარო რეესტრის შესახებ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა , ,,ბ და ი ქვეპუნქტების თანახმად, მარეგისტრირებელი ორგანო იღებს გადაწყვეტილებას სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ, თუ განცხადებას არ ერთვის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული დოკუმენტი ან ინფორმაცია, რომელიც აუცილებელია განცხადებით მოთხოვნილ საკითხზე გადაწყვეტილების მისაღებად, განცხადება ან/და თანდართული დოკუმენტი ან ინფორმაცია არ არის წარდგენილი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ფორმითა და წესით ან/და არსებობს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა საფუძვლები.
2.6. საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 15 იანვრის 4 ბრძანებით დამტკიცებული ,,საჯარო რეესტრის შესახებ ინსტრუქციის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მიწის მიზნობრივი დანიშნულების შეცვლას ახორციელებს სააგენტო. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა და ,,ბ ქვეპუნქტების შესაბამისად, სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ან მისი ნაწილის არასასოფლო სამეურნეო დანიშნულებით შეცვლა შეიძლება განხორციელდეს საზოგადოებრივი საჭიროების შემთხვევაში ან სახელმწიფო ან მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის არასასოფლო სამეურნეო დანიშნულებით გამოყენების დასაბუთებული აუცილებლობის არსებობის შემთხვევაში.
2.7. ,,საჯარო რეესტრის შესახებ ინსტრუქციის მე-18 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, ამ მუხლით გათვალისწინებული განცხადების/ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის განხილვის, მიწის მიზნობრივი დანიშნულების ცვლილების დასაბუთებულობის საკითხის წინასწარი შეფასებისა და ამ საკითხთან დაკავშირებით დასკვნის შემუშავების მიზნით, სააგენტოს თავმჯდომარე ქმნის სამუშაო ჯგუფს კომისიის სახით, რომელშიც თავად არ მონაწილეობს.
2.8. ,,საჯარო რეესტრის შესახებ ინსტრუქციის მე-18 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სააგენტოს შესაბამისი სამსახური ვალდებულია, კომისიას მიაწოდოს განცხადებასთან/ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტთან დაკავშირებული ინფორმაცია და მისი ანალიზი, ასევე, საჭიროების შემთხვევაში, კომისიის მიერ საკითხის განხილვამდე დამატებით მოსთხოვოს განმცხადებელს მიწის მიზნობრივი დანიშნულების შესაცვლელად სარეგისტრაციო წარმოების აღნიშნული მუხლით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით აუცილებელი ინფორმაცია.
2.9. ამავე ინსტრუქციის მე-6 პუნქტის თანახმად, კომისია განცხადებებს/ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს იხილავს მათი საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში რეგისტრაციის თარიღის მიხედვით, ქრონოლოგიური პრინციპის დაცვით, და დასკვნას ამტკიცებს 15 დღის ვადაში.
2.10. ,,საჯარო რეესტრის შესახებ ინსტრუქციის მე-18 მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად, თუ კომისიის მიერ განცხადების/ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის განხილვისას აღმოჩნდა, რომ აუცილებელია, მოპოვებულ იქნეს დამატებითი ინფორმაცია, კომისია შეაჩერებს საკითხის განხილვას, ხოლო სააგენტოს შესაბამისი სამსახური დაუყოვნებლივ მოითხოვს განმცხადებლისაგან მიწის მიზნობრივი დანიშნულების შესაცვლელად სარეგისტრაციო წარმოების აღნიშნული მუხლით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით აუცილებელ ინფორმაციას, რომელიც კომისიას უნდა წარედგინოს მოთხოვნიდან 10 დღის ვადაში. ამ შემთხვევაში, კომისია მომდევნო სხდომაზე განაახლებს საკითხის განხილვას და უზრუნველყოფს დასკვნის დამტკიცებას.
2.11. კომისიის ნებისმიერი დასკვნა განსახილველად და გადაწყვეტილების მისაღებად წარედგინება სააგენტოს თავმჯდომარეს, რომელიც გადაწყვეტილებას იღებს დასკვნის წარდგენიდან 5 დღის ვადაში (,,საჯარო რეესტრის შესახებ ინსტრუქციის მე-18 მუხლის მე-9 პუნქტი).
2.12. სააგენტოს თავმჯდომარის მიერ განცხადების/ინდივიდუალური ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის დასაბუთებულობის დადასტურების შემთხვევაში, იგი იღებს გადაწყვეტილებას მიწის მიზნობრივი დანიშნულების შეცვლის შესახებ, რის საფუძველზეც ტერიტორიული სარეგისტრაციო სამსახური უზრუნველყოფს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ან მისი ნაწილის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით შეცვლის რეგისტრაციას. განცხადების/ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის დაუსაბუთებლობის შემთხვევაში, სააგენტოს თავმჯდომარე იღებს გადაწყვეტილებას მიზნობრივი დანიშნულების შეცვლაზე უარის შესახებ, რომელიც საჩივრდება კანონმდებლობით დადგენილი წესით (,,საჯარო რეესტრის შესახებ ინსტრუქციის მე-18 მუხლის მე-10 პუნქტი).

2.13. ,,საჯარო რეესტრის შესახებ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების ვადა აითვლება დაინტერესებული პირის მიერ სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ გადაწყვეტილების ოფიციალურად გაცნობიდან, ხოლო გადაწყვეტილების სააგენტოს შესაბამის ვებგვერდზე გამოქვეყნების შემთხვევაში გამოქვეყნებიდან. აღნიშნული ვადის გაგრძელება დაუშვებელია.
2.14. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 78-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, განმცხადებელს უფლება აქვს წარუდგინოს შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოს ყველა სხვა საბუთი, რომელიც შეიძლება საფუძვლად დაედოს განმცხადებლის მიერ მოთხოვნილი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას.
2.15. ,,საჯარო რეესტრის შესახებ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, მარეგისტრირებელი ორგანო უფლებამოსილია კონკრეტულ შემთხვევაში დამატებით მოითხოვოს სარეგისტრაციო წარმოებასთან დაკავშირებული ნებისმიერი დოკუმენტის ან ინფორმაციის წარმოდგენა, რომელიც აუცილებელია განცხადებით მოთხოვნილ საკითხზე გადაწყვეტილების მისაღებად.

3. დასკვნა
3.1. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მიზნობრივი დანიშნულების ცვლილების დასაბუთებულობის საკითხის შემსწავლელი კომისიის 2018 წლის 4 დეკემბრის N45 ოქმის საფუძველზე კომისიამ შეაჩერა საკითხის განხილვა, ვინაიდან დაინტერესებული პირის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია არ აკმაყოფილებს რეგისტრაციის სავალდებულო პირობებს, რაც თავის მხრივ სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების საფუძველია.
3.2. დაინტერესებულ პირს ეცნობოს, რომ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მიზნობრივი დანიშნულების ცვლილების დასაბუთებულობის საკითხის შემსწავლელი კომისიის 2018 წლის 4 დეკემბრის N45 ოქმის საფუძველზე კომისიამ შეაჩერა საკითხის განხილვა, ვინაიდან დაინტერესებული პირის მიერ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი 01.14.08.011.030) მიზნობრივი დანიშნულების შეცვლის შესახებ მოთხოვნა დაუსაბუთებელია, ამდენად დაინტერესებული პირის მიერ დამატებით წარმოსადგენია შესაბამისი მუნიციპალიტეტის უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები (დედანი ან სათანადო წესით დამოწმებული ასლი).
3.3. დაინტერესებულ პირს მიეცეს 10 დღიანი ვადა დამატებითი დოკუმენტაციის/ინფორმაციის წარმოსადგენად, რომელიც აითვლება წინამდებარე გადაწყვეტილების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებიდან.
3.4. წინამდებარე გადაწყვეტილების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებიდან 10 დღის ვადაში დაინტერესებული პირის მიერ დამატებით წარდგენილი დოკუმენტაცია/ინფორმაცია მიეწოდება კომისიას, რომელიც მომდევნო სხდომაზე განაახლებს საკითხის განხილვას და უზრუნველყოფს დასკვნის დამტკიცებას, საქმეში წარმოდგენილი დოკუმენტაციის/ინფორმაციის შესაბამისად.
3.5. წინამდებარე გადაწყვეტილების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებიდან 10 დღის ვადაში მოთხოვნილი დოკუმენტაციის/ინფორმაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში, კომისია მომდევნო სხდომაზე განაახლებს საკითხის განხილვას და უზრუნველყოფს დასკვნის დამტკიცებას, საქმეში წარმოდგენილი დოკუმენტაციის/ინფორმაციის შესაბამისად.

3.6. დაინტერესებული პირის განცხადებასთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილება მიიღება საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის მიერ მიწის მიზნობრივი დანიშნულების შეცვლასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებისა და საქმის ფაქტობრივი გარემოებების შესაბამისად.
3.5. საჯარო მმართველობის სფეროში კანონიერების პრინციპის დაცვის მიზნით მარეგისტრირებელმა ორგანომ
გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :
1. "საჯარო რეესტრის შესახებ" საქართველოს კანონის მე-15 მუხლის მე-3 პუნქტის, 21 ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა , ,,ბ და ,,ი ქვეპუნქტებისა და საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 15 იანვრის 4 ბრძანებით დამტკიცებული ,,საჯარო რეესტრის შესახებ ინსტრუქციის მე-18 მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად, შეჩერდეს სარეგისტრაციო წარმოება და დაინტერესებული პირს დაევალოს 10 დღის ვადაში წარმოადგინოს წინამდებარე გადაწყვეტილების 3.2. პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაცია/ინფორმაცია.
2. განემარტოს დაინტერესებულ პირს, რომ დამატებითი დოკუმენტაციის/ინფორმაციის 10 დღის ვადაში წარმოუდგენლობის შემთხვევაში, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მიზნობრივი დანიშნულების ცვლილების დასაბუთებულობის საკითხის შემსწავლელი კომისია მომდევნო სხდომაზე განაახლებს საკითხის განხილვას და უზრუნველყოფს დასკვნის დამტკიცებას, საქმეში წარმოდგენილი დოკუმენტაციის/ინფორმაციის შესაბამისად.

"საჯარო რეესტრის შესახებ" საქართველოს კანონის 21–ე მუხლის შესაბამისად შეჩერდეს სარეგისტრაციო წარმოება და შეჩერების საფუძვლის აღმოფხვრის დამადასტურებელი დოკუმენტის ან ინფორმაციის წარმოსადგენად განისაზღვროს ვადა: უვადოდ.

გადაწყვეტილება ძალაში შედის გამოქვეყნებისთანავე.

გადაწყვეტილება გამოქვეყნებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში (მის.: ქ. თბილისი, სანაპიროს ქ.#2) და მხოლოდ შემდგომ სასამართლოს წესით.